1) ეკონომიკა და ბიზნესი სკანდინავიის ქვეყნებში
   Business and Economics in Scandinavian Countries

სასწავლო კურსის მიზანია მაგისტრანტებს შეასწავლოს სკანდინავიის ქვეყნებში გავრცელებული ეკონომიკური მოდელები და ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი. ასევე გააცნოს სკანდინავიის ქვეყნებში არსებული ბიზნეს-გარემო და შეუქმნას წარმოდგენა ამ ქვეყნებში არსებული ბიზნესის მოწინავე დარგების შესახებ.

2) გენდერული თანასწორობა სკანდინავიის ქვეყნებში
   Gender Equality in Scandinavian Countries

კურსის მიზანია მაგისტრანტებს შეასწავლოს სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკა გენდერული თანასწორობის მიმართ და მიმოიხილოს მრავალფეროვანი პროცესები, რომლებიც დამახასიათებელია სკანდინავიური ფემინიზმისთვის. კურსის ფარგლებში მაგისტრანტები დაეუფლებიან და გაიღრმავებენ ცოდნას შემდეგი მიმართულებით: გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ისტორია სკანდინავიის ქვეყნებში; ქალთა პრობლემებისადმი მგრძნობიარე პოლიტიკა; დასაქმება და გენდერი; ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში; სექსუალობა და გენდერი; ფემინისტთა მოძრაობა პროსტიტუციის წინააღმდეგ.

3) ნორვეგიული ენა 1
   Norwegian Language 1

კურსის ამოცანაა, მაგისტრანტებმა შეიძინონ ნორვეგიული ენის გრამატიკული და ლექსიკური საფუძვლების ცოდნა, გამოიმუშაონ ნორვეგიულ ენაზე დაწყებითი დონის სამეტყველო და წერითი (ზეპირმეტყველება,აუდირება,კითხვა,წერა,მარტივი დიალოგების წარმართვა) უნარ-ჩვევები. კურსის მიზანია, მაგისტრანტებს შეასწავლოს ამ ენისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და დაეხმაროს მათ უცხო ენაზე დამოუკიდებლად სწავლის ჩვევების გამომუშავებაში. გარდა ამისა,მისცეს მათ დაწყებითი დონისთვის შესაბამისი ლექსიკური მარაგი და ელემენტარულ ყოფით დონეზე ენობრივი ურთიერთობის შესაძლებლობა.

4) ნორვეგიული ენა 2
   Norwegian Language 2

კურსის მიზანია, მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს ნორვეგიულ ენაზე წინა-საშუალო დონის სამეტყველო და წერილობითი უნარ-ჩვევები (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა და წერა), რისი დახმარებითაც იგი შეძლებს აღნიშნული დონისთვის შესაბამისი ლექსიკური მარაგის დაგროვება-დახვეწას და

განიმტკიცებს უცხო ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარ-ჩვევებს. კურსის ამოცანაა, მაგისტრანტს უფრო ახლოს გააცნოს შესასწავლი ენის კულტურა და ტრადიციები. დაეხმაროს მას გამოიმუშავოს რეალურ ყოფით სიტუაციებში ადაპტირების უნარი და ნორვეგიული კულტურის წარმომადგენლებთან ელემენტარულზე შედარებით მაღალი დონის სირთულის დიალოგის წარმართვა.

5) ნორვეგიული 3
   Norwegian Language 3

ნორვეგიული ენის საშუალო სირთულის კურსის (ნორვეგიული ენა-3) ძირითადი ამოცანაა, მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს და განუვითაროს ნორვეგიულ ენაზე სამეტყველო და წერილობითი უნარ-ჩვევები (ზეპირმეტყველება, აუდირება,კითხვა,წერა), რის შემდეგაც მაგისტრანტები უკეთ შეძლებენ წინა კურსების საფუძველზე დაგროვილი ლექსიკური მარაგის გაღრმავებას, უკეთ გაართმევენ თავს ნორვეგიულ ენაზე სწორად და თავისუფლად მეტყველებას და დიალოგის გაგებასა და წარმართვას. კურსის მიზანია, მაგისტრანტებს კიდევ უფრო მეტად გაუღვივოს ინტერესი ნორვეგიული ენის, კულტურისა და ლიტერატურის მიმართ, გაუმყაროს მათ უცხო ენაზე ავტონომიური სწავლის ჩვევები, საფუძვლიანად გააცნოს შესასწავლი ენის კულტურა და რეალური ყოფითი სიტუაციები, რათა მაგისტრანტმა უფრო ადვილად შეძლოს ტიპურ გარემოში კომუნიკაცია-ადაპტირება. ამასთანავე შეძლოს დაგროვილი ცოდნის მომავალ საქმიანობაში გამოყენება.

6) სკანდინავიის ქვეყნების ისტორია და კულტურა-1
   History and Culture of the Nordic Countries-1

კურსის მიზანია მაგისტრანტებისთვის სკანდინავიის რეგიონის შესახებ ცოდნის ამაღლება და სკანდინავიის ხალხების ისტორიისა და კულტურის შესწავლა უხსოვარი ხანიდან ვიკინგების ეპოქის ჩათვლით.

7) სკანდინავიის ქვეყნების ისტორია და კულტურა-2
   History and Culture of the Nordic Countries-2

კურსის მიზანია მაგისტრანტებში სკანდინავიის რეგიონის შესახებ ცოდნის ამაღლება და სკანდინავიის რეგიონში სამეფოების დაარსების, განვითარებისა და გაძლიერების პროცესის შესწავლა.

8) სკანდინავიის ქვეყნების ისტორია და კულტურა-3
   History and Culture of the Nordic Countries-3

კურსის მიზანია მაგისტრანტებში სკანდინავიის რეგიონის შესახებ ცოდნის ამაღლება და სკანდინავიის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიისა და კულტურის შესწავლა (XIX-XX საუკუნეები). ინტერდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე კურსი საშუალებას იძლევა, სტუდენტებმა კარგად გაანალიზონ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია წარმატებული ქვეყნის მშენებლობის პროცესში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეთნიკური მახასიათებლების გათვალისწინება.

9) სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და პარტიები
Political Systems and Parties in the Nordic Countries

კურსის მიზანია სტუდენტებში სკანდინავიის რეგიონის შესახებ ცოდნის ამაღლება. სკანდინავიის ქვეყნებში სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის გაანალიზებით, პოლიტიკური პარტიების ფორმირებასა და განვითარებაზე დაკვირვებით, კეთილდღეობის სახელმწიფოს ფუნქციონირების შესწავლით იმის წარმოჩენა, თუ როგორ იქცა ევროპის გეოგრაფიულად პერიფერიული რეგიონი მსოფლიოს მოწინავე რეფორმატორად.

10) სკანდინავიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა
Foreign Policy of the Nordic Countries

კურსის მიზანია სკანდინავიის რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის შესახებ სიღრმისეული და სისტემური ცოდნის მიცემა სტუდენტებისთვის, რათა მათ შეეძლოთ სკანდინავიის ქვეყნების მაგალითზე პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა და შეფასება.

11) სკანდინავიის ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკა
Security Policy of the Nordic Countries

კურსის მიზანია მაგისტრანტების მიერ სკანდინავიის რეგიონში უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული პროცესების შესწავლა, სკანდინავიის ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტებისა და ინტერესების განსაზღვრა, უსაფრთხოების კუთხით ურთიერთანამშრომლობის ისტორიის გაცნობიერება, კონფლიქტების პრევენციის/დარეგულირების მიზნით მათი სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის გაანალიზება, ასევე უსაფრთხოების კუთხით არქტიკისა და ბალტიის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური გამოწვევების შეფასება.

12) სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია- 1
History of the Scandinavian Literature -1

სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტმა მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორიაში ნორვეგიული, დანიური და ისლანდიური ეროვნული ლიტერატურების მაგალითზე. სკანდინავიის ამ ქვეყნების ლიტერატურებს საერთო ძირები და შემოქმედებითი განვითარების სერიოზული მსგავსება გააჩნიათ. კურსის შესწავლისას განიხილება აღნიშნული ეროვნული ლიტერატურების განვლილი გზა უძველესი დროიდან 1860-იან წლებამდე; მაგისტრანტები შეისწავლიან ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ ძირითად ლიტერატურულ მიმდინარეობებს და ტენდენციებს. ასევე, ყურადღება დაეთმობა აღნიშნული პერიოდის ნორვეგიული, დანიური და ისლანდიური ლიტერატურების ჟანრობრივ და ესთეტიკურ თავისებურებებს.

13) სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია- 2
History of the Scandinavian Literature -2

სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტმა მიიღოს სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა ნორვეგიის, დანიის (ფარერის კუნძულების ჩათვლით) და ისლანდიის ლიტერატურების მაგალითზე. სკანდინავიის ამ ქვეყნების ლიტერატურებს არამარტო საერთო ძირები გააჩნიათ, არამედ შემდგომი შემოქმედებითი განვითარების სერიოზული მსგავსება ახასიათებთ. კურსის შესწავლისას განიხილება აღნიშნული ეროვნული ლიტერატურების გზა 1860-იანი წლების შემდეგ; შეისწავლება ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობები და ტენდენციები. ასევე, ყურადღება დაეთმობა აღნიშნული პერიოდის ნორვეგიული, დანიური და ისლანდიური ლიტერატურების ჟანრობრივ და ესთეტიკურ თავისებურებებს.

14) სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია- 3
History of the Scandinavian Literature -3

სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტმა მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორიაში შვედეთისა და ფინეთის ლიტერატურების მაგალითზე. სკანდინავიის ამ ქვეყნების ლიტერატურებს შემოქმედებითი განვითარების სერიოზული მსგავსება გააჩნიათ, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია იმით, რომ ფინეთი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შვედეთის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა. დღესაც, დამოუკიდებლ ფინეთში, შვედური მეორე ოფიციალური ენაა, ფინურენოვანი

მწერლობის პარალელურად კი არსებობს და ვითარდება ფინეთის შვედურენოვანი ლიტერატურაც. კურსის შესწავლისას განიხილება შვედეთის და ფინეთის მწერლობის მიერ განვლილი გზა უძველესი დროიდან თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებამდე; შეისწავლება ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობები და ტენდენციები. ასევე, ყურადღება ეთმობა შვედეთის და ფინეთის ლიტერატურების ჟანრობრივ და ესთეტიკურ თავისებურებებს.

15) სკანდინავიური მითოლოგია
Scandinavian Mythology

სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტებს შეასწავლოს სკანდინავიური მითოლოგიის ძირითადი საკითხები: სამყაროს მოდელი (იგდრასილი), ღვთაებათა პანთეონი (უზენაესი ღმერთები, მებრძოლთა მფარველი ღვთაებები, ბედისწერის გამგებლები, ნაყოფიერებისა და სიუხვის მომნიჭებელი ძალები და სხვ.), უნივერსალური მითოლოგიური თქმულებები (კოსმოგონიური, ანთროპოგონიური, ესქატოლოგიური და სხვ.) და მითოლოგემები.
სასწავლო კურსი მოიცავს სკანდინავიური მითოლოგიისა და ეპიკურ თქმულებათა ციკლის ძირითად თემებს: პოლითეიზმი სკანდინავიურ მითოლოგიაში, ადამიანთა და ცხოველთა მფარველი შუალედური არსებები (ჯუჯები, ელფები), გადმოცემები გმირების შესახებ და მათი მიმართება ლიტერატურულ ორეულებთან (სიგურდი/ზიგფრიდი).
კურსის მიზანია, მაგისტრანტებმა გააცნობიერონ სკანდინავიური მითოლოგიის მნიშვნელობა, მისი ადგილი მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიურ სისტემათა შორის. სკანდინავიური მითოლოგიის სიღრმისეული ცოდნა სტუდენტებს დაეხმარება სკანდინავიის ქვეყნების კულტურულ-ისტორიული მოვლენების გააზრებაში, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და ხელოვნების ნიმუშების აღქმასა და ინტერპრეტაციაში.

16) ფილოსოფიური აზრი სკანდინავიის ქვეყნებში
Philosophical Thought in Scandinavian Countries

სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტმა მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა სკანდინავიის ქვეყნებში მსოფლმხედველობრივი აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ისლანდიასა და ფინეთში. განვითარებული ინტელექტუალური პროცესების, მოვლენების და მათთან დაკავშირებული საკვანძო ფიგურების მაგალითზე. აღნიშნულ ქვეყნებში ფილოსოფიური აზრი საერთო მსოფლმხედველობრივი ძირებით, მსგავსი ინტელექტუალური პროცესებითა და მნიშვნელოვანი ურთიერთგავლენებით ხასიათდება. კურსის შესწავლისას განიხილება სკანდინავიის ქვეყნების ფილოსოფიური აზრის განვითარება უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის

ბოლომდე. მაგისტრანტები შეისწავლიან ამ პერიოდის მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ მიმდინარეობებს, კონცეფტებსა და პარადიგმებს. ასევე ყურადღება დაეთმობა ჰუმანიტარულ და სოციალურ აზროვნებაში (მათ შორის რელიგიასა და ხელოვნებაში) საზოგადოდ განვითარებულ იმ მოვლენებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდათ ფილოსოფიური აზრის განვითარება-ჩამოყალიბებისათვის სკანდინავიის ქვეყნებში.

17) ფინური ენა 1
Finnish language 1

კურსის მიზანია, მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს ფინურ ენაზე ელემენტარული დონის სამეტყველო და წერილობითი უნარ-ჩვევები (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა და წერა), რისი დახმარებითაც იგი შეძლებს აღნიშნული დონისთვის შესაბამისი ლექსიკური მარაგის დაგროვება-დახვეწას და გამოიმუშავებს უცხო ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარ-ჩვევებს. კურსის ამოცანაა, მაგისტრანტს უფრო ახლოს გააცნოს შესასწავლი ენის კულტურა და ტრადიციები. დაეხმაროს მას გამოიმუშავოს რეალურ ყოფით სიტუაციებში ადაპტირების უნარი და შეძლოს ფინური ენობრივი კულტურის წარმომადგენლებთან ელემენტარული დიალოგის წარმართვა.

18) ფინური ენა 2
Finnish language 2

კურსის მიზანია, მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს ფინურ ენაზე წინა-საშუალო დონის სამეტყველო და წერილობითი უნარ-ჩვევები (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა და წერა), რისი დახმარებითაც იგი შეძლებს აღნიშნული დონისთვის შესაბამისი ლექსიკური მარაგის დაგროვება-დახვეწას და განიმტკიცებს უცხო ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარ-ჩვევებს. კურსის ამოცანაა, მაგისტრანტს უფრო ახლოს გააცნოს შესასწავლი ენის კულტურა და ტრადიციები. დაეხმაროს მას გამოიმუშავოს რეალურ ყოფით სიტუაციებში ადაპტირების უნარი და შეძლოს ფინური ენობრივი კულტურის წარმომადგენლებთან ელემენტარულზე შედარებით მაღალი სირთულის დიალოგის წარმართვა.

19) ფინური ენა 3
Finnish language 3

ფინური ენის საშუალო სირთულის კურსის (ფინური ენა-3) ძირითადი ამოცანაა, მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს და განუვითაროს ფინურ ენაზე სამეტყველო და

წერილობითი უნარ-ჩვევები (ზეპირმეტყველება, აუდირება,კითხვა,წერა), რის შემდეგაც მაგისტრანტები უკეთ შეძლებენ წინა კურსების საფუძველზე დაგროვილი ლექსიკური მარაგის გაღრმავებას, უკეთ გაართმევენ თავს ფინურ ენაზე სწორად და თავისუფლად მეტყველებას და დიალოგის გაგებასა და წარმართვას. კურსის მიზანია, მაგისტრანტებს კიდევ უფრო მეტად გაუღვივოს ინტერესი ფინური ენის, კულტურისა და ლიტერატურის მიმართ, გაუმყაროს მათ უცხო ენაზე ავტონომიური სწავლის ჩვევები, საფუძვლიანად გააცნოს შესასწავლი ენის კულტურა და რეალური ყოფითი სიტუაციები, რათა მაგისტრანტმა უფრო ადვილად შეძლოს ტიპურ გარემოში კომუნიკაცია-ადაპტირება. ამასთანავე შეძლოს დაგროვილი ცოდნის მომავალ საქმიანობაში გამოყენება.

20) ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა სკანდინავიის ქვეყნებში
Health and Social Care Provision in Scandinavian Countries

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტთათვის სკანდინავიის ქვეყნების ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საფუძვლების სწავლება, ამ სისტემათა ორგანიზაციისა და მენეჯმენტის, აგრეთვე ჯანდაცვის პოლიტიკისა და კანონმდებლობის თაობაზე უახლესი ინფორმაციის მიწოდება; ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორების შესახებ ცოდნის მიცემა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში წარმატებულად გამოყენების უნარის განვითარება.